www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 7 სექტემბერი, 2012 წელი. | №3106 (199) | ფასი 50 თეთრი

რასმუსენი: ნატო-ში მეგობარი გყავთ

დათო გამისონია

ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი, კავკასიური ტურნეს ფარგლებში, საქართველოში გუშინ ერევნიდან ჩამოვიდა. მან თბილისში მიმდინარე "ამბასადორიალში" მონაწილეობა მიიღო და სიტყვითაც გამოვიდა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი გზავნილები პრეზიდენტის სასახლიდან წარმოადგინა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ოკუპირებული ტერიტორიები და უსაფრთხოება

მომავალი წლის საგარეო პრიორიტეტები

მარი ახსიაშვილი

ყოველწლიური ამბასადორიალის მეორე სამუშაო დღეს ელჩებმა და სახელმწიფო უწყების სხვადასხვა წარმომადგენლებმა ოკუპირებული ტერიტორიების თემატიკაზე და ქვეყნის მთლიანობის უზრუნველყოფის საკითხებზე ისაუბრეს - თუ როგორ უნდა იმუშაონ ქართველმა დიპლომატებმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ მიმართულებით. გარდა ამისა, ამბასადორიალის მეორე დღის განხილვის თემა საქართველოში მიმდინარე პროცესები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება იყო.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

აფეთქება თურქეთის სამხედრო საწყობში

ხათუნა გაბიევი

თურქეთის დასავლეთ ნაწილში განთავსებულ საბრძოლო მასალის საწყობში აფეთქება ოთხშაბათს, გვიან ღამით მოხდა. აფიონის პროვინციაში მომხდარ შემთხვევას 25 სამხედრო მოსამსახურე შეეწირა, ხოლო 4 დაშავდა. თურქეთის არმიის გენერალური შტაბის ინფორმაციით, აფეთქება საწყობის იმ ფლიგელში მოხდა, სადაც ხელყუმბარები ინახებოდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სამხედრო მოსამსახურეთა დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა, ცეცხლის ალში გახვეული შენობისთვის თავი დროულად დაეღწია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ვრემია "ოცხელი" არტისტული სივრცის აღმოსაჩენად

რას გეგმავენ საქართველოს ეროვნულ გალერეაში

სოფო კილასონია

საქართველოს ეროვნული გალერეის განახლების ამბავი ჯერ კიდევ ახალი, ეს იმის მიუხედავად, რომ ის 2011 წლის ივნისში დიდი ექსპოზიციით - ქართული მხატვრობის შედევრებით გაიხსნა. აღნიშნული გამოფენის ნაწილი ისევ სახეზეა, თუმცა შენობის ახალ - დამატებით სივრცეებში რამდენიმე გამოფენის ჩანაცვლება მოასწრეს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606⇓
1 ევრო	2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294⇓
1 თურქული ლირა	0.9089⇓
100 რუსული რუბლი	5.1422⇓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ქეცბაიას ნაკრებში ზაზა ფაჩულიას მენტალიტეტის ადამიანები სჭირდება

გიგა გურასაშვილი

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ბელარუსთან მატჩით იწყებს და ესპანეთით აგრძელებს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონზე საუბარს არ ვაპირებთ და ამის სურვილი არც საქართველოს ნაკრების მწვრთნელს თემურ ქეცბაიას ჰქონია ბორის პაიჭაძის სახელობის "დინამო არენაზე" გამართულ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მირზა ტელეტოვიჩი: "სახეზე ხელი ამაფარეთ და ჩაგიგდებთ"



ბოსნია ტელეტოვიჩია

ზურაბ თალაკვაძე

მარჩინ გორტატი, ზაზა ფაჩულია, ომრი კასპი, პეტერი კოპონენი, დანილო გალინარი, სემიჰ ერდენი, ვიქტორ სანიკიძე. საკვალიფიკაციოში სერიოზული ხალხი დარბის და ამ კარგი ბიჭების უბანში ბოსნიელი მირზა ტელეტოვიჩი გამორჩეულია. ესპანეთის ბოლო ჩემპიონატის პირველი ხუთეულის წევრი, მოთამაშეების გამოკითხვაში საუკეთესო, ბოსნიის ნაკრების კაპიტანი.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ოკუპირებული ტერიტორიები და უსაფრთხოება

პირველი გვერდიდან

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგი კაპანაძის განცხადებით, ქართული მხარის თანამიმდევრული მუშაობის შედეგია, რომ რუსეთმა ოკუპირებული ტერიტორიებთან დაკავშირებით მხოლოდ ოთხი ქვეყნის აღიარების მიღწევა შეძლო.

"ვისაუბრეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარებაზე. კონკრეტულად, იმ საკითხებზე, რომლებიც ამ მიმართულებით რუსეთის ფედერაციისგან მოდის, და რა ნაბიჯი შეიძლება გადადგას საქართველოს დიპლომატიურმა კორპუსმა ამ საკითხების თავიდან ასაცილებლად,"- აღნიშნა კაპანაძემ.

ამბასადორიალის მეორე დღის მონაწილეებს სიტყვით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ, მთავრობის წევრებმა, ასევე არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმართეს.

"ეკონომიკის სამინისტრო ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს ძალიან ბევრ ელჩთან, რადგან ჩვენ გვაქვს არაერთი პროგრამა როგორც საინვესტიციო, ისე ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით. შეხვედრაზე ელჩებს ის პროექტები გავაცანით, რომლებსაც ვგეგმავთ შემდეგი ერთი წლის მანძილზე. რა თქმა უნდა, ეს არის ჩვენი სოფლის მეურნეობის ექსპორტის ხელშეწყობა როგორც ევროპის, ისე აზიის მიმართულებით. ეს არის ინვესტიციები ქვეყანაში, იმისთვის, რომ შეიქმნას უფრო მეტი საწარმო, უფრო მეტი კომპანია და დასაქმდეს ხალხი ამ კერძო კომპანიებში. ასევე ვისაუბრეთ ზოგად ეკონომიკურ მიმართულებებზე," - განაცხადა ქობალიამ და აღნიშნა, რომ 2011 წელს მილიარდზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა. 2012 წლის პირველი კვარტლის მონაცემებმა კი 250 მილიონს გადააჭარბა, რაც წინა წელთან შედარებით, 20%-იანი ზრდაა.

ამბასადორიალის პარალელურად, არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰექტორ ტიმერმანი ქართველ კოლეგას შეხვდა. მოგვიანებით კი მათ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, მხარეებმა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობაზე ისაუბრეს, მათ შორის - ტურიზმზე, განათლებასა და სოფლის მეურნეობაზე.

"საქართველო და არგენტინა ახლა იწყებენ ორმხრივ ურთიერთობებს. არგენტინა სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და ამ მიმართულებით უნდა დავიწყოთ თანამშრომლობა, ასევე უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა განათლების სფეროში. საინტერესო გეგმები გვაქვს და ეს გეგმები სამართლებრივი ბაზის შექმნით დაიწყება," - აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.

ჰექტორ ტიმერმანის განცხადებით, ის პირველი უმაღლესი რანგის დიპლომატია, ვინც ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან საქართველოს ესტუმრა. არგენტინა კი ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. მისივე თქმით, არგენტინა უარს ამბობს ნებისმიერი სახის სამხედრო ქმედებებზე, რადგან არის დიალოგის შესაძლებლობა და ეს უნდა იქნას გამოყენებული.

"მთავარია, დავეხმაროთ კონფლიქტის მხარეებს, რათა ისინი დასხდნენ და დაიწყონ დიალოგი. ომი კონფლიქტის მოგვარების საშუალება არ არის. არგენტინა მრავალი წლის განმავლობაში მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიულ პოლიტიკას. ჩვენ მივიჩნევთ, რომ კონფლიქტების მოგვარების ერთადერთი გზა დიალოგია. მხარს ვუჭერთ გაეროს რეზოლუციას და ვფიქრობთ, რომ უნდა გაძლიერდეს გაეროს როლი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში. ასეთია ჩვენი პოზიცია ნებისმიერ კონფლიქტთან დაკავშირებით,"- აღნიშნა ტიმერმანმა. მისივე თქმით, სახელმწიფოებმა გლობალურ სამყაროში უნდა გამოიყენონ ის საუკეთესო შესაძლებლობა, რომელსაც გლობალიზაციის პროცესი აძლევთ და ერებს შორის დიალოგი შუამავლების გარეშე უნდა წარიმართოს.

"არგენტინას და საქართველოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში თავისი ხმა აქვს და ქვეყნებმა ერთად უნდა იმოქმედონ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს. საქართველოსა და არგენტინას შორის თანამშრომლობა უნდა შედგეს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, განათლების სფეროში და ქვეყნებს შორის ბიზნესურთიერთობები უნდა განმტკიცდეს. ჩვენ ვართ ერთ-ერთი წამყვანი სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელი ქვეყანა მსოფლიოში და შეგვიძლია, საქართველოს დახმარება გავუწიოთ. ეს რეგიონი ძალიან შორს არის ჩემი ქვეყნიდან, მაგრამ ძალიან ახლოს არის ჩემს გულთან," - დასძინა ტიმერმანმა.

დღის ბოლოს, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა, რომელიც ამბასადორიალზე სპეციალური სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა, შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა. მან საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივაზე ისაუბრა და ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია მოისმინა.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ამბასადორიალზე ანდერს ფოგ რასმუსენმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი.

"ეს ცალსახად არის ნათქვამი ბუქარესტის სამიტზე, რომელიც შემდეგ ჩიკაგოს სამიტზეც დადასტურდა. დანარჩენი ყველაფერი არის იმ რეფორმების, იმ მონდომების, იმ ძალისხმევის შედეგი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ერთად გასცემს. საქართველო ძალიან მოკლევადიან ისტორიულ პერსპექტივაში გახდება ნატო-ს წევრი. ჩვენს დიპლომატებს გენერალურმა მდივანმა ისიც შეახსენა, რომ საქართველოს წვლილი ავღანეთში არის აბსოლუტურად შეუფასებელი. მიუხედავად იმ მსხვერპლისა, რაც ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა და საზოგადოებამ გაიღო, ამ შემოდგომაზე, ახალი ბატალიონის დამატებით, საქართველო გახდება ავღანეთში ყველაზე დიდი კონტინგენტის წარმდგენი ქვეყანა, რომელიც ნატო-ს წევრი არ არის," - განაცხადა ვაშაძემ.

მისივე თქმით, რასმუსენმა ამბასადორიალზე სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება არ არის მხოლოდ მთავრობის ვალდებულება და ეს მოვალეობა ოპოზიციასაც აკისრია.

"საქართველოს მთავრობას ნათქვამი აქვს თავისი ყველა მოკავშირისთვის შემდეგი რამ: იმისათვის, რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს ისე, როგორც არასოდეს ჩატარებულა და იმისთვის, რომ არჩევნები იყოს სამართლიანი, გამჭვირვალე, ტრანსფარენტული და ყოვლისმომცველი, გვჭირდება რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი და კანონმდებლობის მტკიცედ დაცვა. გენერალურმა მდივანმა ეს ყველაფერი აღნიშნა," - განაცხადა ვაშაძემ.

ყოველწლიური ამბასადორიალი, რომელზეც საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელები და სხვა დიპლომატები გასული წლის მანძილზე გაწეულ საქმიანობას აჯამებენ და მომავლის გეგმებს სახავენ, დღეს დასრულდება.

საგადასახადო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზები

GSMEA USAID FROM THE AMERICAN PEOPLE EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

მე-18 საუკუნეში ჯონათან მეიჰიუმ „დაბეგვრა წარმომადგენლობითობის გარეშე“ (Taxation Without Representation) მაშინდელი ამერიკის მთავარ პრობლემად აღიარა და გადასახადების თემა კერძო საკუთრებას და, შესაბამისად, ადამიანის თავისუფლებას დაუკავშირა. ლეგალური პოზიტივიზმისა და ლიბერალური თეორიების ეს მარცვალი ამერიკის სახელმწიფოს შექმნის მნიშვნელოვანი შემადგენელი გახდა.

წარმომადგენლობითობა, როგორც დემოკრატიის ღერძი, კონკრეტულ ვალდებულებებს გულისხმობს. თუ კანონმდებელი კანონებს გადამხდელისთვის მარტივად გასაგებ ენაზე შეადგენს, ხოლო ნებისმიერი უთანხმოების გადაწყვეტას დამოუკიდებელ პროფესიულ ინსტიტუტს მიანდობს, მართლმსაჯულების გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა კანონის წინაშე თანასწორობას მოიტანს. ამ ფუნდამენტზე კი შესაძლებელი ხდება ე.წ. „ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს“ შექმნა.

ვინ, როდის და რამდენი უნდა გადაიხადოს - არის კითხვათა კომპლექსი, რომლებზეც პასუხები ბიზნესს მუდმივად აინტერესებს. აინტერესებს იმისთვის, რომ:

- შეასრულოს კანონით დაკისრებული ვალდებულებები;
- სწორად დაგეგმოს და განავითაროს ბიზნესი;
- დააბანდოს კაპიტალი ახალ პროექტებში;
- ან თუნდაც გამოძებნოს ლეგიტიმური გზა გადასახდელი ტვირთის შესამცირებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს და მოქალაქის ინტერესები ყოველთვის არ არის ჰარმონიაში, საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება, არაერთი მუხლი ორაზროვანი თუ ბუნდოვანია, ყოველთვის იქმნება უთანხმოება გადასახადის გადამხდელსა და ამკრეფს შორის. დავები წარმოიშობა არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში, არამედ სუპერდემოკრატიულ ქვეყნებშიც და ეს ჩვეულებრივი პროცესია. მთავარი კითხვა ის არის, თუ სად და როგორ შეიძლება, მეწარმესა და სახელმწიფოს შორის წარმოქმნილი დავა მოგვარდეს.

ინვესტორები ამ პროცესს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. მათ აინტერესებთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი კერძო ლეგიტიმური ინტერესებისა და უფლებების დაცვა. ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, მსოფლიოში ცნობილმა თითქმის ყველა გიგანტმა აუდიტორულმა კომპანიამ სახელმწიფოსთან საგადასახადო დავების მოგვარება მთავარ სერვისებში შეიტანა. უფრო მეტიც, დღეს უკვე საუბარია საგადასახადო დავების გადაწყვეტის პროცედურების ინტერნაციონალიზაციაზე.

საგადასახადო დავების არსებითი მნიშვნელობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პირის შემოსავლების დაბეგვრა წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაში ჩარევის ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე მექანიზმს და გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, დასაქმებულთა თუ პარტნიორთა თავისუფლების ხარისხზე.

შესაბამისად, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციამ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით ჩაატარა კვლევა და მოამზადა რეკომენდაციები საგადასახადო დავების პრობლემატიკაზე.

კვლევამ აჩვენა, რომ რიგ ქვეყნებში საგადასახადო დავებს განიხილავენ საერთო სასამართლოები, სხვა ქვეყნებში კი - სპეციალიზებული, საგადასახადო ან ფისკალური სასამართლოები. მაგალითად, აშშ-ში 1942 წლიდან ხოლო გერმანიაში 1950 წლიდან არსებობს საგადასახადო სასამართლო, ხოლო დანიაში კი ამგვარ დავებს დამოუკიდებელი საგადასახადო ტრიბუნალი წყვეტს, რომელიც 1938 წელს შეიქმნა. მაგალითად, დანიის საგადასახადო ტრიბუნალში შექმნილია შიდა ოფისები გადასახადების სახეების მიხედვით, რაც დავების განხილვას უფრო ვიწროდ ფოკუსირებულს ხდის და ამცირებს შეცდომების დაშვების ალბათობას.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არსებობს საგადასახადო დავის განხილვის რამდენიმე ეტაპი:

1. შემოსავლების სამსახურის სისტემაში - მედიაციის საბჭო;
2. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში - დავების განმხილველი საბჭო;
3. საერთო სასამართლოებში - საქალაქო (რაიონული) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო.

შემოსავლების სამსახურსა და ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ინსტანციების არსებობა კარგი შესაძლებლობაა მეწარმისთვის, რომ სასამართლომდე შეძლოს დაიცვას თავისი არგუმენტი. თუმცა ეს პროცესი უფრო დავის პრევენციაა, ვიდრე გადაწყვეტა. ორივე საფეხურის გავლის შემთხვევაში, თუ მეწარმე დავის გაგრძელებას საჭიროდ ჩათვლის, მან საერთო სასამართლოს სისტემას უნდა მიმართოს, სადაც საგადასახადო დავები გაერთიანებულია ადმინისტრაციული კატეგორიის დავებში და მათი განხილვა ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასამართლოში აქტის გასაჩივრებისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, რომლის ოდენობაც საქალაქო სასამართლოში დავის საგნის ღირებულების 3 %, სააპელაციოში – 4 %, ხოლო უზენაესში 5 %-ია.

საგადასახადო დავის განხილვა სასამართლოში, როგორც წესი, სცილდება დადგენილ 2 თვეს, რადგან განხილვა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია სპეციალურ ცოდნასთან (მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა თუ სხვ.) და წარმოიშობა პროცესზე სპეციალისტის მოწვევის აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ პროცესის მხარეებისთვის, პრაქტიკაში სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტულ ხასიათს ატარებს. მსგავს საქმეებზე სასამართლოში დაუშვებელია განსხვავებული მიდგომის და, შესაბამისად, ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების არსებობა და, როგორც წესი, მოსამართლე ითვალისწინებს ანალოგიურ საკითხზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს. რაც უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერ არის გადაწყვეტილება მიღებული, მით უფრო მეტი პრეცედენტული მნიშვნელობა ენიჭება მას.

პრაქტიკაში სასამართლო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, საქმის განხილვისას განმარტოს და განაზოგადოს კანონის ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულება და დანერგოს პრაქტიკული გამოყენების სწორი გზა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ სასამართლოს ფუნქცია არის არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელება, არამედ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ბუნდოვანი თუ ორაზროვანი ნორმების ლოგიკური და სამართლიანი განმარტება, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის უფლებრივი თანაფარდობის შენარჩუნება. შესაბამისად, არაერთმა განვითარებულმა ქვეყანამ მართებულად ჩათვალა, საგადასახადო დავები ერთ დამოუკიდებელ ინსტიტუტში მოექცია და ამ კუთხით პრაქტიკა გაეღრმავებინა.

საქართველოს საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული (მ.შ. საგადასახადო) დავების განხილვის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლოს, ფაქტობრივად, არ გააჩნია შესაძლებლობა გააღრმავოს პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა ფინანსური სამართლის დარგში, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს როგორც საგადასახადო დავის განხილვის ვადაზე, ასევე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას შეცდომის დაშვების ალბათობაზე. დღეისათვის საქართველოში არსებული სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურის და მათი საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით მიზანშეწონილია, საგადასახადო დავების გადაწყვეტის კუთხით გატარდეს შემდეგი რეფორმები:

მოკლევადიანი რეფორმა

თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გამოეყოს საგადასახადო დავები და ამ კატეგორიის დავების განხილვის მიზნით შეიქმნას საგადასახადო საქმეთა პალატა, რომელიც განიხილავს მხოლოდ ფინანსური კატეგორიის საქმეებს.

საშუალოვადიანი რეფორმა

საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე შესაძლებელია შეიქმნას საგადასახადო დავების განმხილველი ინსტიტუტი, რომელიც იქნება სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და რომელშიც დავების განხილვა განხორციელდება სასამართლოსათვის დადგენილი პროცესის მსგავსად. კერძოდ, მიზანშეწონილია შეიქმნას სსიპ „საგადასახადო დავების განხილვის ბიურო“, ოფისებით ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში. არბიტრები მიზანშეწონილია იყვნენ საქართველოს მთავრობის, საქართველოს სახალხო დამცველის და ბიზნესსაზოგადოების მიერ წარდგენილი კანდიდატები, რომლებსაც პარლამენტი დაამტკიცებს 4 წლის ვადით. ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება კი შესაძლებელი იქნება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამგვარი რეფორმით ჩამოყალიბდება დავების გადაჭრის ერთიანი პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში საინვესტიციო გარემოს.

ეს კვლევა დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ ამერიკელი ხალხის დახმარებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. შესაძლებელია, კვლევაში გამოხატული შეხედულებები არ ემთხვეოდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, USAID-ის, ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რასმუსენი: ნატო-ში მეგობარი გყავთ

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართული ერთობლივი პრესკონფერენცია, ტრადიციულად, გამოთქმული მხარდამჭერი განცხადებების გარდა, არაორდინალური ფრაზებითაც საყურადღებო იყო. **"თუ შეიძლება, ნატო-ს გენერალური მდივანი ქართველი იყოს, მაშინ ეს ნამდვილად ანდერს ფოგ რასმუსენია,** - თქვა მიხეილ სააკაშვილმა და განაგრძო, - **ჩვენი რეფორმები, ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისთვის კვლავაც გაგრძელდება. საქართველო გაგრძელებს სვლას დემოკრატიის გზით, ჩვენ გავმართავთ ყველაზე თავისუფალ და გამჭვირვალე არჩევნებს საქართველოს ისტორიაში. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს სვლას თავისუფლების გზით ისტორიული არჩევანისკენ; ჩვენ განვაგრძობთ სვლას თავისუფალი, წარმატებული საქართველოსკენ! ჩვენი კონტაქტები ნატო-სთან ძალზე მნიშვნელოვანია."** დღეისათვის ყველაზე აქტუალური საკითხის შესახებ სააკაშვილი ოპტიმისტურად საუბრობს. მისი თქმით, საქართველოში 1 ოქტომბერს ქვეყნის უახლეს ისტორიაში ყველაზე თავისუფალი არჩევნები ჩატარდება. ის დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი აბსოლუტურად სწორ არჩევანს გააკეთებს. **"ქართველი ხალხი საქართველოს შიდა პოლიტიკაში უცხო ძალების ხელის ფათურს არ დაუშვებს,"** - აზუსტებს პრეზიდენტი.

რაც შეეხება რასმუსენის სიტყვას, მან საქართველოს მიმართ პატივისცემა დაუდასტურა და აღნიშნა, რომ საქართველოს ნატო-ში მეგობარი ჰყავს და ქვეყნის მომავალი სახლი ნატო-შია. რასმუსენმა განსაკუთრებით აღნიშნა ის, რომ მალე ავღანეთის მისიაში საქართველოს, ნატო-ს არანევრ სახელმწიფოთა შორის, ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი ეყოლება. **"მადლიერი ვართ იმ სიმამაცისა და პროფესიონალიზმისთვის, რომელსაც თქვენი ჯარისკაცები ყოველდღიურად იჩენენ,"** - ამბობს რასმუსენი. იქვე იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს აქტიურ პარტნიორობაზე მეტი სურს - მას ნატო-ში გაწევრიანება უნდა. რასმუსენის თქმით, ნატო-ს კარი ღიაა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც რეფორმებისა და ინტეგრაციის მიმართ ნამდვილ, მყარ პროგრესს აჩვენებენ. **"თქვენ ფართო მასშტაბური რეფორმების კურსი დაიწყეთ და პროგრესს მიაღწიეთ. ამ მძიმე სამუშაომ ნატო-ს წევრობასთან დაგაახლოვათ,"** - ამბობს რასმუსენი. მისივე აზრით, ოქტომბრის საპარლამენტო და მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება ქართული დემოკრატიის ტესტი იქნება. რასმუსენი იმედს გამოთქვამს, რომ ყველა პოლიტიკური ძალა თავის როლს პასუხისმგებლობით მოეკიდება.

რასმუსენი დმიტრი მედვედევის განცხადებასაც გამოეხმაურა და მკაცრი შეფასება გააკეთა. 2011 წლის 21 ნოემბერს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი მედვედევი კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ საუბრობდა. როგორც მედვედევი აღნიშნავდა, **"2008 წელს რუსეთი რომ შემდრკალიყო, მთელი რიგი ქვეყნები, რომელთა ნატო-ში შეთრევასაც ხელოვნურად ცდილობდნენ, დიდი ალბათობით უკვე იქ იქნებოდნენ."**

რასმუსენი კი ამბობს: **"თუ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის კონფლიქტის მიზანი ნატო-ს გაფართოების გადაწყვეტილებაში ჩარევა იყო, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ მიზანს ვერ მიაღწიეს. არც ერთ მესამე ქვეყანას უფლება არ აქვს, ნატო-ს გადაწყვეტილებებში ჩაერიოს."** მისი თქმით, ღია კარის პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებებს ალიანსი იღებს. **"მკაცრად ვიცავთ პრინციპს, რომ თითოეულმა ქვეყანამ სასურველი ალიანსი თვითონ უნდა აირჩიოს. იმედს გამოვთქვამთ, ამ პრინციპს რუსეთიც პატივს სცემს,"** - აღნიშნავს ანდერს ფოგ რასმუსენი.

დღის ბოლოს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, თავდაცვის მინისტრ დიმიტრი შაშკინთან ერთად, ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში გააცილა. ოფიციალური ცერემონია შერეულ საავიაციო ბაზაზე გაიმართა. რასმუსენმა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართა და საქართველოს მთავრობას ISAF-ის ოპერაციაში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა.

ავღანეთში, სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს შეიარაღებული ძალების 32-ე და მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონები მიემგზავრებიან. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ჰელმანდის პროვინციაში ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში ISAF-ის ოპერაციაში მიიღებენ მონაწილეობას. ისინი ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად, 6 თვის განმავლობაში სრული სპექტრის ოპერაციებში ჩაერთვებიან.

პრემიერმა მთავრობის წევრებს დავალება მისცა

მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით გუშინ მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სხდომაზე განსახილველ საკითხებს შორის სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის, სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფასო ვაქცინაციის, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაციის პროგრამების მიმდინარეობა და ხე-ტყის რესურსების მოპოვების გადასახადების ახალი კონცეფცია იყო.

სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის წარმოების ხელისშემშლელი ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. ვანო მერაბიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა მსოფლიოში ბიზნესის დაწყების კუთხით, კვლავ უამრავი დაბრკოლება არსებობს საკანონმდებლო დონეზე, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრებს სამინისტროებში არსებული რეგულაციების შესწავლა და მათი გამარტივება დაავალა.

პრეზიდენტი ყვარლის საავადმყოფოს ესტუმრა

მიხეილ სააკაშვილი გუშინ ყვარლის საავადმყოფოს სტუმრობდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, სააკაშვილი მომსახურე პერსონალს გაესაუბრა და ის პაციენტები მოინახულა, რომლებმაც სახელმწიფო დაზღვევით უკვე ისარგებლეს. ქვეყნის პირველმა პირმა ყურადღება ჯანმრთელობის დაზღვევის მნიშვნელობაზე გაამახვილა და მომსახურების პირობებით დაინტერესდა. პრეზიდენტის განცხადებით, ხარისხიანი ჯანდაცვა ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და აუცილებელია, რომ დაზღვევის საბაზისო პაკეტით სარგებლობა თითოეულ მათგანს შეეძლოს.

"ეროვნულ-დემოკრატებმა" ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაცია გამართეს

"ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ" გუშინ წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაცია გამართა. ედპ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩახვაძემ ეკონომიკური პროგრამის ის ნაწილი წარმოადგინა, რომელიც დასაქმების საკითხებს შეეხება. ჩახვაძის განმარტებით, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას უმუშევრობა წარმოადგენს, რომლის გადასაჭრელადაც ედპ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, საკანონმდებლო ბაზის ხელახლა ჩამოყალიბებასა და დასაქმების სააგენტოს შექმნას გეგმავს. "ჩვენ ვფიქრობთ, ამ პროგრამით დავეხმაროთ უმუშევრებს; ვაპირებთ, შევქმნათ დასაქმების სააგენტო და რაც ჩვენს პროგრამას სხვებისგან გამოარჩევს, არის ის, რომ დასაქმების სააგენტოს შეეძლება, გასცეს გრანტები უმუშევრებისთვის, რომ მათ შეძლონ თვითდასაქმება," - განაცხადა ჩახვაძემ. პრეზენტაცია გუშინ ოთხი ორგანიზაციის - ეკონომიკური პოლიტიკური კვლევის ცენტრის, ISET-ის, ლიბერალური აკადემია და "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" წინასაარჩევნო პროექტის ფარგლებში გაიმართა.

"ნაციონალური მოძრაობა" NDI-ს კვლევებს გამოეხმაურა

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" NDI-ს ბოლო კვლევებს გამოეხმაურა. როგორც გუშინდელ ბრიფინგზე პარტიის საარჩევნო სიის მეოთხე ნომერმა თინათინ ბოკუჩავამ განაცხადა, კვლევა ადასტურებს საზოგადოების ფართო მხარდაჭერას არსებული კურსისადმი. ბოკუჩავას თქმით, მხარდაჭერა არის დამატებითი პასუხისმგებლობა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის", რომ საქართველოს მეტმა მოქალაქემ მიიღოს სარგებელი ქვეყნის განვითარებიდან, მეტი მოქალაქე იყოს დასაქმებული, მეტ ადამიანს მიუწვდებოდეს ხელი ჯანდაცვაზე და სოფელი იყოს კიდევ უფრო ძლიერი. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს სამართლიან და თავისუფალ გარემოში. მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ხელს უწყობს ჯანსაღი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას," - განაცხადა თინათინ ბოკუჩავამ.

მისივე თქმით, NDI-ს ბოლო კვლევით გამოჩნდა, რომ მოსახლეობა ცალსახად არ უჭერს მხარს ბიძინა ივანიშვილის მოწოდებას ქუჩის საპროტესტო აქციებისკენ.

"გვინდა, ვიხილოთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები"

ამერიკელი სენატორები საქართველოში

დათო გამისონია

"რედისონში" მიმდინარე "ამბასადორიალის" პარალელურად, გუშინ მაღალი რანგის სტუმრები შეხვედრებს მართავდნენ. ამერიკელ სენატორთა დელეგაცია საქართველოში არჩევნების შესახებ სხვადასხვა მხარის შეფასებების მოსასმენად ჩამოვიდა. 3 სენატორი, ჯონ მაკკეინის ("რესპუბლიკური პარტია," არიზონა) ხელმძღვანელობით, ოპოზიციური პარტიების ლიდერებს და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას შეხვდნენ. მაკკეინთან ერთად, დელეგაციაში არიან სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი (დამოუკიდებელი, კონექტიკუტის შტატი) და სენატორი ლინდსი გრემი ("რესპუბლიკური პარტია", სამხრეთი კაროლინა). მოლაპარაკებებში საქართველოში აშშ-ს ახალი ელჩი რიჩარდ ნორლანდიც მონაწილეობდა.

სენატორებს პირველი შეხვედრა კოალიცია "ქართულ ოცნების" ცენტრალურ ოფისში ჰქონდათ. კოალიციიდან მათ ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი ესაუბრნენ. **"ამერიკელმა სენატორებმა კარგად დაინახეს, რომ რასაც მიხეილ სააკაშვილი ჩემ შესახებ ამბობს, სიცრუეა,"** - უთხრა ჟურნალისტებს შეხვედრის შემდეგ ივანიშვილმა. მისი აზრით, შეხვედრა საინტერესო გამოდგა, სენატორებს საქართველოს დღევანდელი რეალობა და "ქართული ოცნების" პოზიცია აინტერესებდათ. **"მათ ყველაფერი კარგად იცოდნენ, თუმცა დღევანდელი რეალობა ჩვენგან კიდევ უფრო კარგად დაინახეს,"** - ამბობს ივანიშვილი.

როგორც კოალიციის ლიდერი შენიშნავს, სენატორები მისი ბიოგრაფიითაც დაინტერესდნენ. **"მათ მკითხეს იმის შესახებ, რასაც სააკაშვილი რუსეთში ჩემს ქონებაზე საუბრობს. მაკკეინს ისიც ვუთხარი, რომ გუშინ რუსეთში ჩემი ბოლო საკუთრება ცნობილმა ამერიკულმა ფონდმა შეიძინა, კერძოდ - სოფლის მეურნეობის სექტორში. სენატორებმა კარგად დაინახეს, რომ კრემლთან ჩემი დაკავშირება სიცრუეა,** - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, - **სენატორებს დავპირდით, რომ პროცესების არჩევნებამდე მიყვანას მოვახერხებთ და ხელისუფლებას დემოკრატიულად ჩავანაცვლებთ."**

"ქართული ოცნების" გარდა, სენატორები ოპოზიციიდან "ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას" შეხვდნენ. **"ჩვენი ამერიკელი მეგობრებისგან სურვილები, რეკომენდაციები და რჩევები მოვისმინეთ,** - აღნიშნა შეხვედრის შემდეგ პარტიის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ, - **ჩვენ ყველანი იმისთვის ვიბრძვით, რომ 1 ოქტომბერს საქართველო სამშვიდობოს გავიდეს და ამ არჩევნებმა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიულ ტრანსფორმაციას ბიძგი მისცეს. საქართველოში ერთპარტიული, ერთპიროვნული მმართველობა უნდა დამთავრდეს და თანამშრომლობით, ერთმანეთთან პოზიციების შეჯერებით, კონსენსუსით ქვეყანა წინ უნდა წავიყვანოთ."** როგორც გიორგი თარგამაძე დასძენს, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის უფრო მეტად ზრდა საქართველოს უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ოპოზიციასთან საუბრის შემდეგ, სენატორთა დელეგაციამ გიგა ბოკერიასთან სამუშაო ლანჩი გამართა. შეხვედრაზე მხარეებმა აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების მიმართულებით არსებული პროგრესი და რეგიონში უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. გარდა ამისა, მათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარებისა და არაღიარების პოლიტიკის შესახებ ისაუბრეს.

სენატორების შეფასებები

მოგვიანებით სენატორებმა აშშ-ს საელჩოში პრესკონფერენცია გამართეს. ჯონ მაკკეინის განცხადებით, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ამერიკა დიდ ყურადღებას მიაქცევს და წინასაარჩევნო პერიოდისა და არჩევნების შესახებ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ შეფასებებს დაეყრდნობა. **"NDI-ს, IRI-ს და ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიები უკვე საქართველოში არიან და არჩევნების შესახებ მათ შეფასებას ჩვენს შეხედულებებზე დიდი გავლენა ექნება. საქართველოს მოსახლეობა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს იმსახურებს. ჩვენ არც ერთ კანდიდატს უპირატესობას არ ვანიჭებთ, მაგრამ ვამაყობთ იმ პროგრესით, რომელიც საქართველოშია,"** - განაცხადა ჯონ მაკკეინმა.

რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, მაკკეინი ამბობს: **"ჩვენ გვინდა, ვიხილოთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რომლის შედეგებსაც დამარცხებულებიც აღიარებენ."** მართალია, მაკკეინის აზრით, საქართველო უკან აღარ დაბრუნდება, თუმცა სენატორი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ შესაძლოა, არჩევნების შედეგები სადავო გახდეს.

ბიძინა ივანიშვილის შესახებ დასმულ კითხვას კი მაკკეინი პასუხობს: **"ჩვენ შევხვდით ბატონ ივანიშვილს და მან განაცხადა, რომ რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. მას საქართველოში დემოკრატია და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანება სურს. ჩვენ სარწმუნოდ ვიღებთ მის სიტყვებს, ხოლო არჩევანს საქართველოს მოქალაქეები თავად გააკეთებენ."**

არჩევნების გარდა, სენატორები ყურადღებას უსაფრთხოების საკითხებზე ამახვილებენ. ჯოზეფ ლიბერმანი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სენატორ გრემთან და მაკკეინთან ერთად, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამცველია. **"აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსულ აგრესიას ვგმობთ. ვიბრძოლებთ, რომ საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღი ხელმისაწვდომი გახდეს და საქართველოს მთავრობამ საკუთარი ხალხის დაცვა შეეძლოს,** - ამბობს ლიბერმანი და დასძენს, - **ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდეს."**

პრესკონფერენციის შემდეგ სენატორები პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდნენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თსუ პროფესორის
რევაზ სირაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

მეუღლე როლანდ გოგიშვილი, შვილი ხათუნა გოგიშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ლული ჩაჩიბაია.
პანაშვიდები 7-8 სექტემბერს;
გამოსვენება 9 სექტემბერს, 2 საათზე, ვაკის წმ. სამების ტაძრიდან.

"24 საათი" თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს ხათუნა გოგიშვილს დედის
ლული ჩაჩიბაიას
გარდაცვალების გამო.

საფრანგეთის ალპებში ოთხი ადამიანი მოკლეს

საფრანგეთის ალპებში, ტბა ანსისთან ახლოს სამი მოკლული ტურისტი ბრიტანეთის მოქალაქეა. აღნიშნულის შესახებ ადგილობრივი ოფიციალური პირები იუწყებიან.

გარდაცვლილი ორი ქალი და ერთი მამაკაცი ბრიტანეთში რეგისტრირებულ BMW-ს მარკის ავტომობილში იპოვნეს. მანქანის ახლოს ველოსიპედისტის ცხედარიც აღმოაჩინეს.

ერთი გოგონა ამ დროისთვის საავადმყოფოში იმყოფება, მისი მდგომარეობა კრიტიკულია. მომხდარის ადგილზე დაახლოებით 60 პოლიციელია მობილიზებული. პოლიციამ, როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გამოაცხადეს, "მასობრივი მკვლელობის" გამოძიება დაიწყო. პირველადი შედეგებით, ცნობილია, რომ ტურისტები თავის არეში გასროლით არიან მოკლულნი. სავარაუდოდ, ბოროტმოქმედი ავტომატური პისტოლეტით უნდა ყოფილიყო შეიარაღებული, რადგან ავტომობილს გარედან მრავლობითი ნატყვიარები ეტყობა.

შიდა თავდასხმებთან დაკავშირებით ავღანეთში ასობით სამხედრო დაითხოვეს

ოთხშაბათს ცნობილი გახდა, რომ ავღანეთში შიდა თავდასხმების გამოსაძიებლად ასობით სამხედრო მოსამსახურე დაითხოვეს.

"გამოძიების გამო ასობით ავღანელი სამხედრო დაკავეს და დაითხოვეს," - განაცხადა ქვეყნის თავდაცვის მინისტრის წარმომადგენელმა ზაფირ აზიმმა, რომლის თქმითაც, ქვეყანამ გამოძიება საერთაშორისო ძალებთან თანამშრომლობით დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ავღანეთის არმიის ფორმაში გადაცმული ხალხის მიერ ნატო-ს სამხედროებზე თავდასხმებმა იმატა. ISAF-ის წარმომადგენლის ადამ ვოჯაკის განცხადებით, წელს 35 ასეთი ტიპის თავდასხმას ნატო-ს 45 სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა.

ვოჯაკის თქმით, პირველი თავდასხმიდან, 2007 წლიდან დღემდე მთლიანად 74 თავდასხმა განხორციელდა, რასაც 114 ადამიანი ემსხვერპლა.

როგორც ISAF-ის ერთობლივი სარდლობის ხელმძღვანელი, გენერალი ჯეიმს ტერი აცხადებს, ავღანეთის ლიდერები მდგომარეობის რეგულირებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

"ისრაელის იერიშს ღაზას სექტორში 3 ადამიანი ემსხვერპლა"

ღაზაში პალესტინის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, ისრაელის მხრიდან განხორციელებულ იერიშს სამი პალესტინელი ემსხვერპლა.

როგორც აცხადებენ, ისრაელის ტანკებმა ქალაქ ბეით-ხანუნზე მიიტანეს იერიში. პალესტინის სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს, რომ უკანასკნელი დღე-ღამის განამვლობაში ღაზას სექტორში თავდასხმების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვმა ექვსს მიაღწია.

რუსეთი: ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობის დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს

"ბი-ბი-სი"-ს ცნობით, რუსეთის დიპლომატიური უწყების წარმომადგენელი აცხადებს, რომ არ არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთი, თითქოს ირანი ბირთვული აირაღის შექმნაზე მუშაობს.

"არსებობს ბირთვული მასალა, რომელსაც ირანი ამუშავებს და რომელსაც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სპეციალისტები აკონტროლებენ," - აღნიშნავს დიპლომატი, რომლის თქმითაც, ირანის მისამართით ამერიკის მიერ დაწესებული ცალმხრივი სანქციები საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება.

ბერეზოვსკის საქმესთან დაკავშირებით "ბორჯომის" მოსკოვის ოფისი გაჩხრიკეს

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა ბორის ბერეზოვსკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში კომპანია "ბორჯომის" ოფისის ჩხრეკის სანქცია გასცა.

"ცოტა ხნის წინ კომპანია "ბორჯომში" გამომძიებლებმა ჩხრეკა ჩაატარეს," - განაცხადა საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმერ მარკინმა.

როგორც "ინტერფაქსის" პოლიციის წყარო იუწყება, კომპანიაში სპეცსამსახურების წარმომადგენლები ჩხრეკას 6 საათის განმავლობაში ატარებდნენ. ჩხრეკისას თან წაიღეს დოკუმენტები და დისკები.

გამოძიების თანახმად, ბერეზოვსკი, შესაძლოა, რუსეთის ტერიტორიაზე მთელ რიგ მსხვილ კომერციულ სტრუქტურებს აკონტროლებს.

პოლიციელის თქმით, "რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბერეზოვსკის რამდენიმე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით 1,2 მილიარდი რუბლი აქვს ასანაზღაურებელი."

როგორც პოლიციელი აღნიშნავს, ბერეზოვსკისა და ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებს კომპანია NWVF-ის 97% ეკუთვნით. ეს კომპანია, თავის მხრივ, ფონდ VDP-ს აკონტროლებს, რომელსაც საინვესტიციო ფონდი Selford Capital Partners-ს მართავს. ფონდს ბერეზოვსკის პარტნიორები ხელმძღვანელობენ.

მოამზადა თამთა კახაძემ

ბილ კლინტონი: ობამა დღემდე ასწორებს რეპუბლიკელთა დაშვებულ შეცდომებს



ამერიკის დემოკრატიული პარტიის ყრილობის მეორე დღეს სიტყვით ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი გამოვიდა.

ყოფილმა პრეზიდენტმა აქცენტი ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ეკონომიკურ წარმატებებზე გააკეთა და ხალხს მისი მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. კლინტონის თქმით, ობამა არ დაუშვებს, რომ ამერიკის ეკონომიკა კვლავ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

კლინტონს არც რესპუბლიკელების კრიტიკა დავიწყებია. 48-წუთიან გამოსვლაში აღნიშნა, რომ ობამას აქამდე უწევს მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება. ობამას მიღწევების ჩამოთვლისას კლინტონმა განსაკუთრებული ყურადღება ობამას ჯანდაცვის პროგრამას დაუთმო და გააკრიტიკა რესპუბიკელების განზრახვა, რომლებიც ამ პროგრამის გაუქმებას აპირებენ: "თუ ასე მოხდა, მე არ ვიცი, რას იზამს ამდენი ოჯახი. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ."

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმავე ბარაკ ობამა ოფიციალურად წარადგინა პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატად.

გამოსვლაში კლინტონმა ხაზი გაუსვა, რომ ობამას პრეზიდენტობით ამერიკა "უდავოდ შეძლებს ამერიკული ოცნების ეკონომიკის მშენებლობას."

"მე მინდა პრეზიდენტად ის ადამიანი ვიხილო, რომელსაც ეყო გამჭრიახობა და მიშელ ობამა შეირთო ცოლად," - იხუმრა კლინტონმა.

კლინტონი აღმოსავლეთ ტიმორს ეწვია

თამთა კახაძე

ჩინეთში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ, გუშინ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი აღმოსავლეთ ტიმორში ჩავიდა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტ ტაურ მატან რუაკსა და პრემიერ-მინისტრ ხანანა გუსმაოს შეხვდა. ხუთშაბათს, საღამოს კი კლინტონი ბრუნეიში გაემგზავრა.

მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ტიმორმა 2002 წელს ინდონეზიისაგან დამოუკიდებლობა მიიღო, ჰილარი კლინტონი პირველი ამერიკელი სახელმწიფო მდივანია, რომელიც ქვეყანას ესტუმრა.

"ძლიერი დემოკრატიები, ჩვენ დიდი ხნის პრაქტიკიდან ვიცით, რომ უფრო სტაბილურ მეზობლებსა და ნიჭიერ პარტნიორებს აყალიბებენ," - აღნიშნა კლინტონმა გუსმაოსთან ერთად გამართულ კონფერენციაზე.

ამერიკის ოფიციალური პირები იმედოვნებენ, რომ კლინტონის ვიზიტი ქვეყანაში იმ მეზობლებისადმი გზავნილი იქნება, რომელებიც ტიმორის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის გაერთიანებაში განევრიანებას ეწინააღმდეგებიან და მიზეზად პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩამორჩენილობას ასახელებენ.

ამერიკის ოფიციალური პირების განცხადებით, ტიმორი ჯერ კიდევ სუსტ ქვეყანას წარმოადგენს და გაერთიანებასთან მჭიდრო კავშირი კი ქვეყნის სტაბილურობას შეუწყობდა ხელს.

2005 წელს აღმოსავლეთ ტიმორმა ნავთობისა და გაზის იმ საბადოებიდან, რომელსაც ის ავსტრალიასთან ერთად ფლობს, შემოსავლების მიღება დაიწყო.

"როიტერ"-ის ცნობით, ოფიციალური ვიზიტისას კლინტონმა USAID-ის დაფინანსებული, ყავის გადამამუშავებელი ქარხანა მოინახულა. ცნობისათვის, ამერიკული Starbucks-ი ამ ქვეყნის ყავის უდიდესი მომხმარებელია.

ჩინეთმა ქვეყანაში უმთავრესი სამთავრობო შენობები ააშენა. ქვეყანა, ასევე, სავარაუდოდ მზადაა ითანამშრომლოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან იმ პროექტების განსახორციელებლად, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას დაეხმარება. მოსახლეობის 40 პროცენტის შემოსავალი დღეში ერთ დოლარზე ნაკლებია.

"ჩვენ აქ არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგი არ ვართ. პირიქით, ჩვენ მოწადინებული ვართ რეგიონის ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობები გვქონდეს," - განაცხადა კლინტონმა დასმული შეკითხვის პასუხად, გეგმავდა თუ არა ამერიკა რეგიონში ჩინეთთან თანამშრომლობას.

ამერიკის ოფიცილური პირები აცხადებენ, რომ ვაშინგტონს ჩინეთთან მუშაობის იმედი აქვს იქიდან გამომდინარე, რომ აღმოსავლეთ ტიმორი აზიის ის ქვეყანაა, სადაც ამ ორი ქვეყნის ინტერესები შესაძლოა, ერთმანეთს დაემთხვეს.

კლინტონის განცხადებით, ამერიკა აღმოსავლეთ ტიმორთან ითანამშრომლებს ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთა და კონფლიქტის მსხვერპლთა დახმარება.

აფეთქება თურქეთის სამხედრო საწყობში

პირველი გვერდიდან

სამხედრო ჰოსპიტალში მათი ტრანსპორტირება კი, ვისაც მეტად გაუმართლა, მოგვიანებით მოხდა.

პირველადი შეფასებით, აფეთქება უბედური შემთხვევაა და ტერაქტთან ან საბოტაჟთან საერთო არაფერი აქვს. "ვვარაუდობთ, რომ აფეთქება ხელყუმბარის შემთხვევით ხელიდან გავარდნის შედეგად მოხდა," - განაცხადა თურქეთის გარემოს დაცვის საკითხების მინისტრმა ვეისელ ეროღლუმ. მისი თქმით, მოგვიანებით სპეციალისტები ირგვლივ გაფანტული ხელყუმბარების ხელოვნურად დეტონაციას შეუდგნენ.

თუმცა, თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა ინციდენტის სრულად გამოძიების განკარგულება მაინც გასცა. უკვე დაიწყო ოპოზიციურად განწყობილი ზოგიერთი პარლამენტარის დაკითხვაც იმის თაობაზე, ხომ არ შეიძლება პასუხისგებაში იყვნენ მიცემული მაღალჩინოსანი სამხედრო მოსამსახურეები. თურქული საინფორმაციო სააგენტო "ჩიანის" თანახმად, ერთ-ერთი ვეტერანი სამხედრო მაღალჩინოსანი იაკუპ ევირგენი, რომელიც წარსულში ლოჯისტიკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, აცხადებს, რომ პირველ რიგში, გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ, საბრძოლო მასალის წარმოების თარიღი და შენახვის პირობები. კიდევ ერთი ვეტერანი სამხედრო მაღალჩინოსანი ჰალდუნ სოლმაზთურქი კი, რომელიც წარსულში ბრიგადის გენერალი იყო, აცხადებს, რომ საბრძოლო მასალის ინვენტარიზაცია გვიან ღამით არ უნდა მომხდარიყო, რასაც, ეტყობა, ისიც დაემატა, რომ ოპერაციაში მეტისმეტად ბევრი ჯარისკაცი იყო ჩართული.

დაღუპული ჯარისკაცების ცხედრები ხუთშაბათს, დილით იპოვნეს, მას შემდეგ, რაც მეხანძრეებმა და მაშველებმა აფეთქებით გამოწვეული ხანძრის ჩაქრობა მოახერხეს. ხანძრის ჩაქრობას კი სპეციალისტები დიდი ხნის განმავლობაში ლამობდნენ. სამუშაოს საწყობში უსაფრთხოების გამკაცრებული ზომებიც აფერხებდა.

თურქული გამოცემა "ჰიურიეთის" თანახმად, ძლიერი დაზიანებების გამო სამხედრო მოსამსახურეთა ამოცნობა ადგილზე შეუძლებელი გახდა. ამოცნობისთვის აუცილებელია დნმ-ის ანალიზის ჩატარება.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ქალაქ აფიუნაკარახისარის მოსახლეობა ქუჩებში გამოეფინა, რადგან მათ ეგონათ, რომ მიწისძვრა მოხდა. პანიკაში ჩავარდნილი მოსახლეობის ნაწილის ევაკუაციაც გახდა საჭირო. გავრცელებული ცნობებით, დაზიანდა ქალაქში მდებარე რამდენიმე შენობის ფასადიც.

ხელისუფლებამ ადგილობრივი მცხოვრებლები გააფრთხილა, სახიფათო ადგილთან მიახლოებისგან თავი შეეკავებინათ. რეალურად კი საბრძოლო მასალების საწყობში გეგმიური შემოწმება მიმდინარეობდა. ინვენტარიზაციისას მომხდარი ინციდენტი ზუსტად იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც თურქული არმიის მობილიზაცია დაიწყო. რამდენიმე დღის წინ, როგორც ცნობილია, თურქეთში სირიისა და ერაყის მოსაზღვრე რაიონებში ქურთ მებრძოლებთან შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. დასავლური მედიის ცნობებით, თურქულმა თვითმფრინავებმა იერიში ქურთი ამბოხებულების პოზიციაზე მიიტანეს.

თურქეთში საბრძოლო მასალების საწყობში აფეთქება წარსულშიც მოხდა, მხოლოდ 1997 წელს ინციდენტს ადგილი საბრძოლო მასალის მწარმოებელ ქარხანაში ჰქონდა. კრიკალეს ინციდენტს მაშინ 2 ადამიანი შეეწირა, ხოლო აფეთქებით გამოწვეული ხანძრის ჩაქრობა რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

პრემია "ოცხელი" არტისტული სივრცის აღმოსაჩენად

პირველი გვერდიდან

ყველაზე საინტერესო მაინც პეტრე ოცხელის რეტროსპექტიული გამოფენაა. რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ვისაც არ უნახავს, აუცილებლად უნდა მოასწროს.

მცირე მონიტორინგმა მიჩვენა, რომ ეროვნულ გალერეაში ამ ეტაპზე ტურისტები უფრო დადიან, ვიდრე თბილისელები. ცხადია, მე არ ვსაუბრობ იმ ე.წ. ელიტაზე, რომელსაც გახსნებზე ეპატიჟებიან. ეს საზოგადოება საგამოფენა დარბაზებს კი ავსებს, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით და თანაც, ეროვნული მუზეუმებისა და გალერეების მისია მათ ოდენობასა და ინტერესებს ბევრით სცდება.

ეროვნული გალერეის ახალი ხელმძღვანელისთვის აღნიშნული პრობლემა-ამოცანა კარგად არის ცნობილი. ნინო გედევანიშვილი 2012 წლის თებერვლამდე, ვიდრე ის გალერეის ხელმძღვანელად დაინიშნებოდა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტების ხელმძღვანელი გახლდათ, რაც მუზეუმსა და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებს შორის დიალოგის გამართვას გულისხმობს. ქალბატონი ნინო მიხსნის, რომ არსებულ გამოცდილებას დაუმატა მსოფლიო გალერეების სტრუქტურებისა და სტრატეგიების შესწავლა-ანალიზი და სულ მალე საზოგადოებას წარუდგენს საქართველოს ეროვნული გალერეის პოლიტიკას სტრატეგიითა და ძირითადი მიმართულება-პროექტებით, რაც მეტისმეტად საინტერესო მოვლენა გახდება არტსივრცისთვის, რომელიც წლების განმავლობაში ელოდა "ცისფერი გალერეის" რეფორმა-განახლებას, შემდეგ კი დაეჭვდა - ხომ არ დარჩებოდა განახლებული შენობა თანამედროვე ხელოვნებისთვის დაკეტილი?

როცა ჩვენს შორის თანამედროვე ხელოვნებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ნინო გედევანიშვილმა აგვიხსნა, რომ ძვირადღირებული სტანდარტებით გარემონტებულ დარბაზებში თანამედროვე ხელოვნების ავტორები თავს თავისუფლად ვერ იგრძნობენ და ვერც გალერეა შეუქმნის მათ აბსოლუტური თავისუფლების პირობებს. თანამედროვე ხელოვნებას ბევრად ლიბერალური სივრცე სჭირდება, სადაც ისინი შეძლებენ ყველაფერსო. თუმცა აქვე დაამატა, რომ ეროვნულ გალერეას აქვს ბევრი დამატებითი სივრცე, ასევე ბაღი და საზოგადოებრივი სივრცეები, სადაც, მოხარული იქნება, თუ ახალგაზრდა არტისტები და კურატორები გარკვეულ იდეებს განახორციელებენ; რადგანაც დარწმუნებულია, რომ გალერეას სწორედ მოკლევადიანი არტისტული აქტივობები აცოცხლებენ და ისინი მოიზიდავენ იმ პუბლიკას, რომელზეც დგას ყველაფერი - ანუ კულტურაც და მუზეუმებიც.

სიმართლე რომ ვთქვა, დღეს ჩემი მისია ეროვნული გალერეის სტრუქტურული რეფორმისა თუ სტრატეგიულ მანევრების შესახებ ინფორმაციის მიღება არ გახლდათ. აღნიშნულ საკითხებს მაშინ დავუბრუნდები, როდესაც ეროვნული მუზეუმი გალერეის პოლიტიკის პრეზენტაციას დაგეგმავს.

ამ ეტაპზე ყველაზე საინტერესო - პრემია "ოცხელის" გამოცხადება და მისი მიზანია. აღნიშნული პრემია კი ეროვნულმა გალერეამ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით გამოაცხადა. ფინანსური მხარდამჭერიც სამინისტროა.

ნინო გედევანიშვილი აღნიშნავს, რომ ვიდრე პრემია სტაბილური და პრესტიჟული არ გახდება, ის კერძო ბიზნესის კეთილდღეობაზე დამოკიდებული ვერ იქნება, ამიტომაც სახელმწიფოს მხარდაჭერა აუცილებელია.

ის, რომ პრემიები სფეროთა წახალისებას და მეტ მოტივაციას ქმნის, შეიძლება საქართველოს მაგალითზეც ვთქვათ, ძალიან შორს რომ არ წავიდეთ. პრემია "საბა", პრემია "დურუჯი", "გალა" - ბოლო წლებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აღნიშნული პრემიები სერიოზული მოტივაციაა, განსაკუთრებით, ახალი თაობის მწერლებისა და თეატრალებისთვის.

სახვითი ხელოვნება რომ, ცოტა არ იყოს, დაჩაგრულია, ამაზე ხშირად მიუთითებენ და ეს ხდება არა მხოლოდ პრემიის აქამდე არარსებობის გამო, არამედ საგამოფენო საქმიანობის მთლიანად კერძო გალერისტების ხელში გადასვლის მიზეზით. თუმცა ეს პროცესი ნორმალური და ჯანსაღი იქნებოდა, გალერისტები რომ გამრავლებულიყვნენ და თანაც, მათი გემოვნება თუ ხედვა ხშირად მსგავსი არ ყოფილიყო. ეს ორი რამ კი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ ხდება, რომ საქართველოში არტბაზარი მეტისმეტად პატარაა. მისი სიპატარავე არა იმდენად ეკონომიკის საკითხია, რამდენადაც - მდიდარი საზოგადოების პრიორიტეტების. ვინ უნდა იმუშაოს საზოგადოების განვითარებასა და მსოფლხედვაზე? ამ პრეტენზიულ კითხვას გალერისტები სხვებს უტოვებენ და გასაგებია, რატომაც. მცირე მეწარმეები ეროვნულ საკითხებს იშვითად ეხებიან. არტისტები კი ისევ სახელმწიფოსგან ელიან სახელმწიფო საგამოფენო დარბაზების, არტცენტრების, თანამედროვე ხელოვნების ნეიტრალურ სივრცეებს. ნეიტრალური კი იმიტომ აღვნიშნე, რომ თუნდაც ზ.წერეთლის სახელობის ახლად გახსნილი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ღია სივრცე ნამდვილად არ არის პროცესებისთვის. ის კონკრეტულ მხატვარს ეკუთვნის და სწორედ მისი გემოვნება და პრიორიტეტი იქნება ამ სივრცეში გადამწყვეტი.

პრემია "ოცხელი" ამ ვითარებაში აშკარა გამონათებაა. ვიდრე სპეციალური ჟიური გამარჯვებულებს აარჩევს სამ ნომინაციაში (1. წლის მხატვარი; 2. წლის აღმოჩენა 3. წლის მულტიმედიური პროექტი), მანამდე კონკურსში მონაწილეთა ორეტაპიანი სელექცია მოხდება. თავდაპირველად შეირჩევიან განაცხადებით, შემდეგ კი ეროვნულ გალერეაში გამოიფინებიან ისინი, რომელთა შორისაც გამარჯვებული სამეული შეირჩევა. დაწვრილებით ინფორმაცია იხილეთ საიტზე: www.art.gov.ge

გალერეის ხელმძღვანელი ყურადღებას რამდენიმე საკითხზე ამახვილებს. პირველი და ყველასთვის აშკარა - ყველა თაობის მხატვრებს მიეცემათ საშუალება, გამოიფინონ ეროვნულ გალერეაში, მიუხედავად მათი წარმატებული თუ აქამდე წარუმატებელი ბიოგრაფიისა. გამოიფინებიან თაობები ერთად, ყოველგვარი დამატებითი უპირატესობების გათვალისწინების გარეშე. და მეორე - ჟიური, რომელიც ქართველების გარდა მოიცავს ექსპერტებს აშშ-დან და ევროპიდან, არიან ადამიანები, რომლებიც არჩევანის გაკეთების გარდა, გაეცნობიან ქართულ არტისტულ საზოგადოებას და შესაძლოა, საკუთარი პროექტებისთვისაც შეარჩიონ ხელოვანები. განაცხადების გაკეთების ვადა ოქტომბრის ბოლოს იწურება.

ლიტბუნიობის წესები და პირობები

ბელა ჩეკურიშვილი

დღეს დასრულდება საკონკურსო ნაწარმოებების მიღება ლიტერატურულ კონკურსზე "ლიტბუნიობა".

მართალია, ლიტერატურულმა ინტერნეტფორუმებმა ბოლო რამდენიმე წელია ქართულ სივრცეში აქტუალურობა დაკარგეს, მკითხველი შემცირდა და ავტორებმაც სოციალურ ქსელებში გადაინაცვლეს, რომელიც უფრო ფართო ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ლიტერატურული ინტერნეტკონკურსები მაინც ყველაზე მოქნილი ფორმატია მკითხველთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამის მაგალითია კონკურსი "ლიტბუნიობა" რომელსაც უკვე მესამედ ატარებს ლიტერატურულ საიტი "ურაკპარაკი" სავაჭრო სახლ "კიდობანის" მხარდაჭერით.

შემოდგომის "ლიტბუნიობა", ტრადიციულად, პოეზიაში ტარდება და კონკურსის ფინალური ეტაპი კვლავაც შემოდგომის ბუნიობას ემთხვევა, ანუ 2012 წლის 22 სექტემბერს ჩატარდება.

გამარჯვებული აირჩევა საკონკურსოდ წარდგენილი ნაწარმოებებიდან, რომლებიც რაიმე ფორმით (ინტერნეტსივრცეში ან ბეჭდური სახით) გამოქვეყნებული არ ყოფილა. ხოლო საკონკურსო პრემიების ოდენობა ასეთია: ერთი პირველი პრემია - 2000 ლარი; ორი მეორე პრემია - 500 ლარი თითოეულს; ოთხი მესამე პრემია - 250 ლარი თითოეულს.

ობიექტურობის დაცვისა და კონკურსანტებისა და მათი გულშემატკივრების წინაშე სრული გამჭვირვალობის მიზნით, "ურაკპარაკის" ადმინისტრაცია საკონკურსო პროცედურებს ღიად აცხადებს. იგი კვლავაც რამდენიმე ეტაპად ჩატარდება: კონკურსის ორგანიზატორების მიერ მიღებული პოეტური ტექსტები გადაირჩევა ჟიურისთვის გადასაცემად, რომლის ვინაობა საკონკურსო ნაწარმოებების მიღების დასრულების შემდეგ გამოცხადდება. ხუთი წევრისაგან შემდგარი ჟიური გადარჩეული ნაწარმოებებიდან 15 საუკეთესოს ამოარჩევს, საიდანაც გამარჯვებულები გამოვლინდებიან.

კონკურსი თითოეული მონაწილისაგან ერთ ნაწარმოებს ითხოვს, რომლის თემატიკა არ არის შეზღუდული და რომელიც მონაწილეებმა ელექტრონული სახით უნდა გაგზავნონ. კონკურსის ორგანიზატორთა თქმით, თუკი კონკურსის მიმდინარეობისას ან მისი დამთავრების შემდეგ აღმოჩნდება, რომ საკონკურსოდ გამოგზავნილი ნაწარმოები კონკურსამდე ან კონკურსის მიმდინარეობისას სადმე, რაიმე სახით იყო გამოქვეყნებული, ავტორი 2 წლით დაკარგავს კონკურსში მონაწილეობის უფლებას, ხოლო თუ მსგავსი ფაქტი აღმოჩნდება ჟიურის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ნაწარმოები კონკურსიდან მოიხსნება. ამავე დროს, კონკურსის ორგანიზატორები უფლებას იტოვებენ, საიტზე გამოქვეყნდეს ასეთი ნაწარმოების ავტორი, წესის დარღვევის ფაქტის მითითებით.

კონკურსის დასრულების შემდეგ კი ლიტერატურულ პორტალ "ურაკპარაკზე" გამოქვეყნდება ყველა ის ნაწარმოები, რომელმაც ჟიურის შეფასებები მიიღო. ავტორების წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ნაწარმოები, რომელიც კონკურსიდან მოიხსნა ავტორის სურვილით ან ვერ გადავიდა რომელიმე ეტაპზე. კონკურსის დასრულების შემდეგ, მეტი გამჭვირვალობის მიზნით, გამოქვეყნდება ჟიურის ყველა წევრის ყველა შეფასება, ჟიურის წევრთა სახელების მითითების გარეშე. თუკი ჟიურის რომელიმე წევრი ვერ აღმოაჩენს თავისი შეფასების იდენტური შეფასებების ჩამონათვალს, მას შეუძლია, ამის შესახებ საკონკურსო საიტზე შესაბამის თემაში საჯაროდ განაცხადოს.

"ლიტბუნიობა" კვლავაც იცავს იმ პრონციპს, რომ თუ ვერც ერთი ნაწარმოები პირველი ადგილის კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებს, პრემია არ გაიცემა და საპრიზო ფონდი "ლიტბუნიობის" მომდევნო კონკურსის პირველი ადგილის საპრიზო ფონდს დაემატება.

"ჩვენი კონკურსის მიზანია, გამარჯვებული გამოვავლინოთ არა შემოსული მასალის ფონზე, არამედ იმ ფასეულობის გათვალისწინებით, რასაც ხარისხიანი ლიტერატურა წარმოადგენს. შესაბამისად, შესაძლოა, ჟიურიმ პირველი ადგილი არც ერთ ნაწარმოებს არ მიანიჭოს, როგორც ეს შარშან, "პოეზიის ბუნიობაზე" მოხდა," - გვითხრა "ურაკპარაკის» ადმინისტრატორმა.

დაველოდოთ, რა მოხდება წელს. მანამდე შეგახსენებთ, რომ შარშან "ლიტბუნიობაზე" მეორე ადგილი ნინო ნეკერიშვილმა და მარი პეტრიაშვილმა გაიყვეს, მესამე ადგილზე კი ნინო ქოქოსაძე, ნინო ლანცულიანი და ნინო ქადაგიძე გავიდნენ.

დეშამმა ექვსი ქულა დაგეგმა

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საფრანგეთის ნაკრები საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა. მოგეხსენებათ 7 და 11 სექტემბერს შესარჩევი ციკლის მატჩები იმართება, თემურ ქეცბაიას გუნდი თბილისში ჯერ ბელარუსს უმასპინძლებს შემდეგ კი ესპანეთს. რაც შეეხებათ ფრანგებს, "სამფეროვნები" 7-ში ფინეთს დაუპირისპირდებიან და 11-ში კი ბელარუსს.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საფრანგეთის ნაკრებში ხელმძღვანელობა შეიცვალა და ლორან ბლანის ადგილი დიდიე დეშამმა დაიკავა. სწორედ ფინეთთთან მატჩში უნდა შედგეს დეშამის ოფიციალური დებიუტი.

"საწყენია, რომ მიმდინარე სეზონში ბენზემას და ჟირუს ჯერაც გოლი არ გაუტანიათ. დიაბი ფინეთთან მატჩს ალბათ ძირითადში დაიწყებს, აგრეთვე შემიძლია გითხრათ, რომ შესარჩევ ციკლში შესაძლოა საკმაოდ ხშირად ვცვალო დაცვითი სტილის ფეხბურთელები. ჩვენთვის ყველაფერი სუფთა ფურცლიდან იწყება. აღარ ღირს ევრო 2012-ის გახსენება, კმაყოფილი ვიქნები თუ ბელარუსთან მატჩის შემდეგ 6 ქულა გვექნება ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი სწორედ ესაა", - აცხადებს დეშამი.

რონალდუს "რეალის" დატოვება არ სურს

მადრიდის "რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი აცხადებს, რომ კრიშტიანუ რონალდუს "სამეფო კლუბის" დატოვება არ სურს.

"რონალდუს წასვლა, რომ სდომოდა ამას სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე იტყოდა", - აცხადებს პერესი.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ პორტუგალიელმა ღიად განაცხადა, რომ მადრიდში თავს ბედნიერად აღარ გრძნობს.

საკუთარი მოსაზრება მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით "რეალის" კაპიტანმა იკერ კასილიასმაც დააფისქირა.

"ფეხბურთელებიც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. ჩვენ გვაქვს საკუთარი პრობლემები. ზოგჯერ ოჯახში ზოგჯერ მეგობრებთან. იმედია სულ მალე რონალდუს ყველაფერი წესრიგში ექნება", - აღნიშნა იკერმა.

ქეცბაიას ნაკრებში ზაზა ფაჩულიას მენტალიტეტის ადამიანები სჭირდება

პირველი გვერდიდან

რამდენჯერმე თქვა კიდეც, დღეს ბელარუსთან თამაშზე სასაუბროდ ვართ შეკრებილიო.

საქართველო და ბელარუსი ჯგუფში ერთმანეთს თვლიან უშუალო კონკურენტად. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ნაკრებს ბელარუსთან წარმატებისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდება. უშეღავათო ბრძოლაში საქართველოს ნაკრები დიდ ენერგიას დახარჯავს, რაც ესპანეთთან ისედაც უშანსოდ მყოფ ჯვაროსნებზე უთუოდ აისახება. მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს არის ჩვენი გუნდი და მას გულშემატკივრობა სჭირდება.

თემურ ქეცბაიამ პრესკონფერენციის დასასრულს სწორედ ეს თქვა: კარგია თუ ცუდი, ეს საქართველოს ნაკრებია და ჩვენიაო.

"მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევი ციკლი იწყება. ყველამ კარგად იცის, რამდენად რთულ ჯგუფში მოვხვდით. ბელარუსის ნაკრებთან მატჩისთვის ოთხი-ხუთი დღეა ვემზადებით. იმედი მაქვს, ბიჭები იბრძოლებენ, ბოლომდე დაიხარჯებიან და შედეგს მიაღწევენ. ჩვენი მიზანი სწორედ ეს არის - ბოლომდე თავდაუზოგავად ბრძოლა.

ეროვნულ ნაკრებში ბევრი ტრავმის გამო ვერ გამოვიძახეთ, მაგრამ ვინც გუნდშია, ყველა ჯანმრთელადაა.

ძალიან გვინდა ბელარუსთან ისე დამთავრდეს შეხვედრა, რომ გულშემატკივარმა ჩვენით იამაყოს.

შეიძლება ნაკრებში ვარსკვლავები არ გვყავს, მაგრამ გვინდა გვყავდეს გუნდი, რომელიც იბრძოლებს. ვარსკვლავები არც ბელარუსის ნაკრებს ჰყავს, მაგრამ ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისით ნამდვილად სწორ გზაზე დგანან. ამის დასტურია ის, რომ

მათი გუნდები უკვე რამდენიმე წელია სისტემატურად თამაშობენ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, რაც, ცხადია, მათ ეროვნულ ნაკრებზეც აისახება.

ერთ-ერთი ვარსკვლავი, ვინც შეიძლება მეტოქე გუნდიდან გამოვყო, ალექსანდრ გლებია. მან თავის დროზე წარმატებული კარიერა გაიარა, მაგრამ ბოლო წლებში ვეღარ ბრწყინავს. ტრავმის გამო ის ჩვენ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

ჩვენს გუნდში ცალკე რომელიმე რგოლს ვერ გამოვყოფ. გუნდურ თამაშს ვაპირებთ. ბელარუსის ნაკრებთან მოგების გასაღები თავდადებაშია. თუ საშუალება გვექნება, ბოლომდე შევუტევთ.

ჩემთვის მთავარია ბოლომდე დავიხარჯოთ. თუ მეტოქე გუნდმა ჩვენზე უკეთ ითამაშა, ესე იგი, თავს ზემოთ ძალა არაა.

ერთხელაც ვიტყვი, ესპანეთის ნაკრები ძალიან ძლიერი და პოპულარული გუნდია, მაგრამ ძალიან ცუდი იქნება, თუ ხალხი სტადიონზე მხოლოდ მათ საყურებლად მოვა. მათ ისედაც მრავლად ჰყავთ ქომაგები, ჩვენ კი ისეთი გულშემატკივარი გვჭირდება, რომელიც სტადიონზე საქართველოს ნაკრების საქომაგოდ მოვა და არა ესპანეთის.

ვიცი, რომ ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე ბევრი გულნატკენია, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს მდგომარეობა გამოვასწოროთ. ეს ჩვენი გუნდია და თუ მასზე ხელი ჩავიქნიეთ და მხარში არ დავუდექით, არაფერი გამოვა. ერთ დღეში გუნდი არ აშენებულა. როდესაც შედეგებს ვითხოვთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, ვინ გვყავს, ვინ სად თამაშობს.

დიდ პატივს ვცემ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს. ზაზა ფაჩულია, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში და ჩემპიონატში თამაშობს, ნაკრებში ჩამოდის და, ტრავმის მიუხედავად, ბოლომდე იხარჯება. სწორედ ასეთი მენტალიტეტის ადამიანები გვჭირდება ეროვნულ გუნდში".

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა "ეროვნულზე" ღია ვარჯიში ჩაატარა. 15 წუთი, რომელიც გამოყოფილი იყო ჟურნალისტებისთვის, ფეხბურთელთა მოთელვაში გაილია.

"საქართველოს ბანკის" ინოვაციური ბარათი - Express Card-ი: გადაიხადე, დააგროვე, იმგზავრე მხოლოდ ერთი შეხებით

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

"საქართველოს ბანკმა" ბაზარზე ახალი თაობის უკონტაქტო საბანკო ბარათი - Express Card-ი გამოიტანა. "საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის განცხადებით, Express Card-ი სრულიად ახლებური სადებეტო ბარათია, რომელიც ერთდროულად ასრულებს საბანკო და სატრანსპორტო ბარათის ფუნქციას, მას ასევე აქვს ქულების დაგროვების საკუთარი სისტემა Express Bonus-ი.

Express Card-ი პირველი ბარათია ქართულ ბაზარზე, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს გადაიხადოს, დააგროვოს და იმგზავროს ყველაზე მარტივად და სწრაფად - მხოლოდ ერთი შეხებით, Express Pay საგადახდო სისტემის მეშვეობით. Express Card-ით მხოლოდ ერთი შეხებითაა შესაძლებელი სასურველი ნივთისა თუ მომსახურების შეძენა სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში და ასევე მგზავრობის საფასურის გადახდა თბილისის მეტროში, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსიში და საბაგიროზე. Express Card-ით PIN კოდის აკრეფის გარეშე, ანუ ერთი შეხებით, გადახდა შესაძლებელია 20 ლარამდე ღირებულების ნივთის ან მომსახურების შეძენისას. მომხმარებლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მეტი ღირებულების მომსახურების ან საქონლის შეძენისას, საჭიროა ბარათის PIN კოდის შეყვანა.

ბარათით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის ჩატარებისას (ტრანსპორტში გადახდის გარდა), მომხმარებელს ავტომატურად დაერიცხება 10 Express ქულა, რომლის გადაცვლაც შესაძლებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო მგზავრობაზე. დარიცხული ქულების გადაცვლა უფასო მგზავრობაზე და ქულების რაოდენობის შემოწმება შესაძლებელია Express Pay-ს გადახდების აპარატებისა და საქართველოს ბანკის ბანკომატების მეშვეობით. Express Card-ის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში, აგრეთვე Express Pay გადახდების აპარატით, ინტერნეტბანკითა და მობილბანკით.

Express Card-ის ანგარიში იხსნება ოთხ ვალუტაში: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და გირვანქა სტერლინგი, ბარათის ვადა 4 წელია, ბარათის ტიპი - MasterCard Debit (ღირებულება 10 ლარი) და MasterCard Standard (ღირებულება 40 ლარი). Express Card-ით სარგებლობა შეუძლია ყველას, მიუხედავად იმისა, ერიცხება თუ არა ხელფასი საქართველოს ბანკში ან ნებისმიერ სხვა ბანკში.

"ვითიბი ბანკი" სპორტის სახეობების სპონსორობას აგრძელებს

"ვითიბი ბანკი" საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური სპონსორი გახდა. ხელშეკრულებას ბანკის ფინანსურმა დირექტორმა მამუკა მენთეშაშვილმა და ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჩიქობავამ ხელი გუშინ ერთობლივი პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ მოაწერეს. დოკუმენტის თანახმად, ბანკი ფედერაციის გენერალური სპონსორი ერთი წლის განმავლობაში იქნება.

სპონსორობის პერიოდში გამოყოფილი ფინანსები მოხმარდება თავისუფალი ვარჯიშის ფიცარნაგის შეძენას, რომელიც სპოტსმენების ვარჯიშისთვის, მომზადებისთვის და გამოსვლებისთვის გამოიყენება.

"ვითიბი ბანკის" ფინანსური დირექტორის მამუკა მენთეშაშვილის განცხადებით: **"ბანკი აქტიურად უჭერს მხარს ქართული სპორტის განვითარებას, როგორც იცით, ჩვენ ვაფინანსებთ ისეთი სპორტის სახეობებს, როგორიცაა რაგბი და ავტოსპორტი, ხოლო დღეიდან საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაციის პარტნიორებიც გავხდით. ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა ის, რომ "ვითიბი ბანკი" ფედერაციის პირველი ოფიციალური სპონსორია. აღნიშნული მხარდაჭერით 400-მდე მოზარდს და სპორტსმენს სრულყოფილი და ეფექტური ვარჯიშის შესაძლებლობა მიეცემა. ვიმედოვნებთ, "ვითიბი ბანკის" მხარდაჭერა პოზიტიურად აისახება სპორტის ამ სახეობების პოპულარიზაციასა და სპორტსმენების წარმატებებზე."**

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია სპორტის 5 სახეობას აერთიანებს, მათ შორისაა: ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტანვარჯიში, აკრობატიკა და აერობიკა.

სასპონსორო ხელშეკრულების თანხა 70 000 ლარს შეადგენს და პირველ ეტაპზე 1-წლიან პარტნიორობას ითვალისწინებს.

მირზა ტელეტოვიჩი: "სახეზე ხელი ამაფარეთ და ჩაგიგდებთ"

პირველი გვერდიდან

ბოსნია ერთი კაცია და ერთი კაცი ბევრ პრობლემას აგვარებს. ტელეტოვიჩი ახალ სეზონს ამერიკაში, ბრექულ და გაპიარებულ ლიგაში დაიწყებს. მირზა "ბრუკლინში" დაისვენებს და ბიჭს აკლიმატიზაციაში დერონ უილიამსი, ბრუქ ლოპესი, ჯო ჯონსონი დაეხმარებიან. სერიოზული ბანდაა და ტელეტოვიჩი მიხაილ პროხოროვთან პირსახოცების მისატანად არ მიდის. სამ სეზონში 9 მილიონი დოლარი სუსტი კონტრაქტია და "ბრუკლინმა" მაგარი მასტი დაირტყა. ტელეტოვიჩი მთქმელი ტიპია.

ჩვენთან პირველ ტესტში მირზამ 27 ქულა წამოიღო. ისე რა პროცენტით (21/10), რამდენიმე იაღლიშით, მინუსებით. მირზა თბილისშიც ვერ უბერავდა თავიდან. პირველ ტაიმში 4 ქულა აკრიფა, სანიკიძე ვერ მოიშორა და ქართულ უბანში ცოტა დაბნეული დადიოდა. მერე წამოვიდა ფერფლის და ტელეტოვიჩის წვიმა. ბოლო მეოთხედში ბიჭი ან აგდებდა, ან იგორ კოკოშკოვის დაცვას შლიდა, ან პერსონალურად უგვარებდა ყველაფერს ნებისმიერს. მირზამ ბოლოში მაგრად მშვიდად გააკეთა საქმე და მანუჩარ მარკოიშვილის სამიანის შემდეგ (103:102 ვიგებდით), 8 მეტრიდან ხია. თავისი სროლა გამოიყენა, მშვიდად მივიდა დანარჩენ ბოსნიელებთან, ზაკ რაითისგან კომპლიმენტები მიიღო და დაისვენა. ჯეიკობ პულენმა ბოლო ნაპალმი ვერ ააფეთქა და ტელეტოვიჩმა მოსახსნელი მოხსნა. მირზამ ორი საჯარიმოთი ტილოზე ბოლო ფერები დაიტანა, ცოცხალი ფერების ნატურმორტი დატოვა და თამაში დაიხურა. 107:103, ტელეტოვიჩის.

ამ საკვალიფიკაციოში ტელეტოვიჩი ერთ ტესტში საშუალოდ



მირზა ტელეტოვიჩმა საქართველოსთან ორ თამაშში 52 ქულა აიღო

25.6 ქულას იღებს. სერიოზულია. მირზამ ერთი გასაუბრება ვერ გაიარა, ლატვიასთან ლატვიაში. იქ ბოსნია 64:80 გადახსნეს და ტელეტოვიჩმა 32 წუთში 13 ქულა დაირტყა. 16 სროლიდან მხოლოდ 4 გამოიყენა, დაღლილი იყო.

დანარჩენი ტესტები: **1. ლატვიასთან**, 24 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი. 37 წუთში; **2. ჰოლანდიასთან**, 33 ქულა, 6 მოხსნა. 33 წუთში; **3. საქართველოსთან**, 27 ქულა, 4 მოხსნა, 39 წუთში; **4. რუმინეთთან**, 21 ქულა, 9 მოხსნა, 40 წუთში; **5. ლატვიაზე** უკვე ვთქვით, გავიარეთ; **6. ჰოლანდიასთან**, 36 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 36 წუთში; **7. საქართველოსთან**, 25 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი. ტელეტოვიჩს 1 ტესტი დარჩა, რუმინეთთან. იქ მირზა დაისვენებს.

წავედით. ბლიცი დიდ ბიჭთან.

1. პულენს რომ ის სამიანი ჩაეგდო - ბოლო სროლა ჩვენი იყო და ჩავაგდებდი. ვიცი, რომ ჩავაგდებდი. სახეზე ხელს რომ მაფარებენ და მიშლიან, უფრო მოაქვს, ადრენალინი მოდის, მინდა, რომ მეორე გუნდს ვატკინო. ეს ნორმალურია. თქვენი ნაკრების ნებისმიერი მოთამაშეც იგივეს გეტყვით.

2. ბოსნია საქართველოზე უკეთესია? - მოვიგეთ. როგორც ვიცი, ვინც იგებს, ის უკეთესია. თქვენ გქონდათ ერთი კარგი მეოთხედი ბოსნიაში. ჩვენ გვქონდა სტაბილური 40 წუთი აქ, საქართველოს ტერიტორიაზე.

3. თქვენი პოზიციის დიდი ბიჭებიდან ვინ არის საუკეთესო? - არ ვიცი ვინ არის საუკეთესო, მაგრამ მე დირკ ნოვიცკი მომწონს. მოთამაშე, რომელსაც ყველაფერი აქვს. მოთამაშე, რომელმაც ყველაფერი იცის.

4. ზაკ რაითს მადლობა გადაუხადეთ? - კი, ზაკს მადლობა მთელმა გუნდმა გადაუხადა. თითქმის იდეალური თამაში (29 წუთში 23 ქულა, 12/10 ჩასმული საშუალო, 6 პასი, 3 ჩაჭრა, აგრესიული დაცვა, შეცდომის გარეშე, ავტ.). პირველ ტაიმში რაიტმა პერსონალურად დაქაჩა თამაში. ზაკი მაგარი ბიჭია. არ უყვარს წაგება. ისე, მეც არ მიყვარს. თუ ვაგებ, საკუთარ თავს ხმას არ ვცემ.

5. საქართველომ თქვენი ტერიტორიიდან 25 მოხსნა წამოიღო. ბევრია. - ძალიან ბევრია. რაღაც მომენტი, არ გაგიმართლათ. რამდენიმე ასიანი ჩასაგდები ვერ ჩააგდეთ. ხდება ხოლმე. თქვენთან რომ წავაგეთ, ისეთი სროლები ვერ გამოვიყენე... ეს კალათბურთია. და ჩვენ გვიყვარს კალათბურთი.

6. იცნობთ თორნიკე შენგელიას? - კარგი მოთამაშეა.

7. მზად არის შენგელია "ბრუკლინისთვის"? - აიყვანეს, კონტრაქტი გაუფორმეს. ალბათ, მზად არის. ამას მწვრთნელებზე უფრო მოთამაშე გრძნობს. მოთამაშე გრძნობს პროცესის პულსს, ბევრი რაღაც მწვრთნელზე უკეთ ესმის. თუ მწვრთნელი რაღაც ნიუანსს ვერ ხედავს, მოთამაშე ამას ყურადღებას აქცევს. ყველგან ასე არ არის, მაგრამ ძირითადად, ასეა. დამიჯერეთ, ეგრეა.

8. დღეს, პირველ ტაიმში გაქვთ 4 ქულა, მეორეში - 21. - პირველ ტაიმში ცუდი მე ვიყავი. მეორე ტაიმში ცუდი ტელეტოვიჩი ისვენებს და კარგი ტელეტოვიჩი კალათბურთის თამაშს იწყებს.

9. ჩვენი კაპიტანი, ზაზა ფაჩულია. რამდენიმე სიტყვა ზაზაზე. - გამოცდილი, მონდომებული, გამორჩეული პერსონა. ლიდერი.

10. ბოსნიის ლიდერი თქვენ ხართ? - ბოსნიაში ერთი ლიდერია. ჩვენი მთავარი მწვრთნელი, ალექსანდრ პეტროვიჩი. ალბათ, მომენტებში, მეც საუკეთესო ვარ.

11. ლატვია უკეთესია თუ საქართველო? - თქვენ უფრო სოლიდური ინდივიდუალისტებით თამაშობთ. ალბათ, საქართველო.

12. მზად ხართ ამერიკული ლიგისთვის? - კი, მზად ვარ. ძალიან კარგ გუნდში მოვხვდი. გამიმართლა. ევროპაში გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა.

13. აქცევთ ყურადღებას NBA-ს ტრანსფერებს? - კი, ყველა მნიშვნელოვანი ტრანსფერის დეტალები ვიცი. "ლეიკერსმა" ჰოვარდი და ნეში წამოიყვანა. და კობიც იქ არის. "მაიამიმ" რეი ალენი დაიმატა. კარგი სვლაა.

14. აქცევთ ყურადღებას მსაჯებს? - ყურადღებას კალათბურთს ვაქცევ. თქვენც იგივეს გირჩევთ. მსაჯები თავის შეცდომებს ყოველთვის დაუშვებენ.

15. ბოსნია და ევრობასკეტის საუკეთესო გუნდები. დიდი სხვაობაა? - ესპანეთი საუკეთესოა და მერე დანარჩენები მოდიან. საფრანგეთი, რუსეთი, ლიტვაც უფრო მაღალი დონეა. დანარჩენებთან მოგება შეიძლება. ბოსნიას გამოცდილება აკლია. ნიჭი, მოგების სურვილი გვაქვს. რაღაც კომპონენტებშიც უნდა მოვუმატოთ. დაცვა, საკუთარი პოტენციალის უკეთ გამოყენება.

16. ჩვენი დარბაზი მოგეწონათ? - მაგარი დარბაზია. ბევრი ფანით. ეს ჩემზე, მთლიანად, ბოსნიაზე კარგად მოქმედებს. ალბათ, ეს ყველაზე კარგად მოქმედებს.

17. ბოლოში, სინანოვიჩმა ტექნიკური რომ მიიღო, თქვენ მასთან მიხვედით და რაღაც მშვიდად უთხარით? - მადლობა გადავუხადე კარგი, ლტოლვით თამაშისთვის.

18. რომ წაგეგოთ, ლოგიკური იქნებოდა? - არ ვიცი. მოგებული თამაშის შემდეგ ბედნიერი ხარ და ისვენებ. წაგებულის შემდეგ ბევრ რაღაცას იხსენებ და ცდილობ, რომელიმე ეპიზოდი დაატრიალო, გაიხსენო, მიხვიდე ბოლომდე. არ ვიცი, რამდენად ლოგიკურია ამ დროს ლოგიკაზე ფიქრი.

19. რა ფილმებს უყურებთ? - არ მახსოვს, ბოლოს რა ვნახე. ძირითადად, კარგ ფილმებს.

20. ესპანეთის ჩემპიონატი ევროპაში საუკეთესოა? - ალბათ. საბერძნეთი, რუსეთი, იტალია. ამ ქვეყნებშიც ბევრი კარგი გუნდია. ესპანეთი ოდნავ უკეთესია.

ზაკ რაითის რეპი

ზურაბ თალაკვაძე

ზაკ რაითი ბრიფინგზე დაიღალა. მანამდე, თამაშის დროს დაიღალა. ბიჭმა 23 ქულა, 6 პასი და ზერო შეცდომა დასვა. რაითი პირველ ტაიმში კარგი, სანდო ელემენტი იყო და ზაკმა ბოსნია ტრასაზე დატოვა, იგორ კოკოშკოვის გუნდს რბოლიდან არ გააგდებინა. რაითი ამ საკვალიფიკაციოში ერთ-ერთი საუკეთესოა - 15.0 ქულა, 7.3 პასი (I), 7.4 მოხსნა, 2.1 ჩაჭრა. რაითმა ჩვენთან პირველ გარჩევაში 4 ქულა, 15 პასი, 13 მოხსნა და 4 ჩაჭრა წამოიღო. მეორეში - 23+6 პასი+3 ჩაჭრა. უშეცდომოდ.

რაითი ტეხავდა ერთი-ერთზე, რაითი აკეთებდა საქმეს და რაითის ცოტა ქუჩური თამაში ეფექტური, ელეგანტური, მოსული და საინტერესო იყო. ზაკიც საინტერესო ახალგაზრდაა. ზაკმა ლატვიასთან პირველ თამაშში ორმაგი დუბლი (20+11 მოხსნა, 6 სხვის ტერიტორიაზე) ხია. რაითი თან, სტაბილური ახალგაზრდაა. ლეგიონერი, რომელიც საჭირო კაცია და ზედმეტად არ ჩანს. ტელეტოვიჩის ფონზე თუ ქაჩავ, რეალურად საჭირო ტიპი ხარ.

გასახდელიდან გამოდიან რაითი, კიკანოვიჩი და დედოვიჩი. გაეღადავა კიკანოვიჩს, შორტი ჩაუწია. იქვე, ბრიფინგის გვერდით, გასასვლელში. პროცესში, იგორ კოკოშკოვი და ვიქტორ სანიკიძე რაღაცაზე ჭორაობდნენ. გამოიქცა, გაჩერდა, ბოტასი იქვე მიყარა, ზედა მოიგდო, წაუცეკვა. ჩვეულებრივი, უკომპლექსო ტიპი კარგი იუმორით და ინტელექტით. საკალათბურთო ინტელექტიც დიდი დოზით არის.

ზაკ რაითი

რამდენიმე კითხვით მუქი ბიჭიც დავიტოვეთ.

- კობი ბრაიანტი თავის კალათბურთს ვივალდის ადარებს, ალენ აივერსონი - ბარი ვაითს. თქვენი კალათბურთი რა არის?

- რეპი. ძველი, კლასიკური რეპი. მხოლოდ რეპი.

- ტელეტოვიჩის კალათბურთი?

- აზრზე არ ვარ. არც მაინტერესებს. ტელეტოვიჩი ისედაც ბევრს აკეთებს და თუ მისი თამაში აუცილებლად რამეს უნდა შევადაროთ, მირზა ამაზე მეტს და უკეთ ილაპარაკებს.

- სასტუმროს და დარბაზის გარდა, აქ რა ან ვინ ნახეთ?

- ბევრი არაფერი. სასტუმრო, დარბაზი, ქუჩა, დარბაზი. ისევ სასტუმრო. ძირითადად, სულ ასეა. სადღაც, თუ ოდნავ მეტი დრო გვაქვს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს ველაპარაკებით ან ვისვენებთ. იშვიათად გავდივართ მაგარ ექსკურსიაზე. ქალაქის დათვალიერებას ფანჯრებიდან, მანქანიდან, ავტობუსიდან უფრო ვასწრებთ.

- პირველ თამაშში 11 სროლიდან 2 გამოიყენეთ. დღეს არარეალურად გააკეთეთ საქმე.

- ხდება ხოლმე. ჩვენი ლიდერები, ძირითადი მსროლელები უბურთოდ რჩებოდნენ და 24 წამი ვიღაცას უნდა გამოეყენებინა. ისე მოხდა, რომ პირველ ტაიმში ბევრი ვისროლე. ისე მოხდა, რომ პირველ ტაიმში ბევრი ჩავაგდე. როგორც გითხარით, ხდება ხოლმე. 23 ქულა, 6 პასი ცუდი არ არის. მთავარია, გუნდმა მოიგო. ჩვენთან ბევრი კარგი მოთამაშეა. მოგება ყველას უნდა და ყველას თავისი როლი აქვს.

- საქართველოს ნაკრებიდან ვინ შეგიქმნათ ბევრი პრობლემა?

- დიდმა ბიჭმა, ფაჩულიამ. პირუტყვია. ერთი-ერთზე ვერ აჩერებ. ლიდერი, რომელიც ბევრს ასწრებს.

- ევროპის ჩემპიონატზე რას აპირებთ?

- კალათბურთის თამაშს.

- და როდემდე?

- სადღაც, ნახევარფინალამდე. თუ გაგვიშვებენ.

- კალათბურთი არ გღლით?

- თქვენ ასეთი კითხვები არ გღლით? წავედი, მეჩქარება. სლოვენიაში შევხვდებით.

"მალაგას" არ გაყიდიან

ესპანური "მალაგას" ერთვ-კერთმა ხელმძღვანელმა მოაიატ შატატმა განაცხადა, რომ კატარელი შეიხი აბდულა ალ თანი ანდალუსიური კლუბის გაყიდვას არ აპირებს. "ამ პროექტში ბევრი ფული ჩავდეთ და გაჩერებას არ ვაპირებთ. ეს კლუბი გვიყვარს. შეიხი და ვიცე-პრეზიდენტი აბდულა გუბნი პროექტს მხარს უჭერენ და ენთუზიაზმით სავსენი არიან. "მალაგა" არ იყიდება. ინვესტიციის შეჩერებაზე არც გვიფიქრია. კლუბში ფულის ჩადებას განვაგრძობთ, მაგრამ ამას რაციონალურად გავაკეთებთ. ახალ სტრატეგიას ვქმნით და ორგანიზაციული სტრუქტურა კლუბის უფრო ეფექტურად სამართავად შევცვალეთ" - ციტირებს მოაიატ შატატის სიტყვებს "მალაგას" ოფიციალური ვებგვერდი.

ფალკაო "სიტის" მიუახლოვდა

მართალია სტრანსფერო ფანჯარა უკვე დახურულია, მაგრამ მადრიდის "ატლეტიკოს" კოლუმბიელ ფორვარდ რადამელ ფალკაოზე სატრანსფერო ომი კვლავაც მიმდინარეობს. ამ ფეხბურთელის გადაბირებით "ჩელსი" და "სიტი" არიან დაინტერესებული, თავად რადამელი კი თურმე "რეალში" თამაშზე ოცნებობს.

კოლუმბიელი ფორვარდის შეძენასთან ყველაზე ახლოს "სიტია". "ქალაქელებს" ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში პრაქტიკულად არ უაქტიურიათ და ამ დანაკლისის შევსებას იანვარში აპირებენ. ბრიტანული მედიის ინოფრმაციით "სიტი" ფალკაოში 60 მილიონი გირვანქას გადახდას გეგმავს.

"ოქროს ბურთი" ესპანელმა უნდა მოიგოს

ასე ფიქრობს ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, რომელმაც საკუთარი მოსაზრება ესპანელ ჟურნალისტებთან საუბრისას დააფიქსირა. "ესპანელი ფეხბურთელებით აღფრთოვანებული ვარ. ხავის და ინიესტას სიმაღლე 170 სანტიმეტრია ისევე როგორც ჩემი. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებისას მხოლოდ ფეხბურთელების გამოკითხვა, რომ ტარდებოდეს....ჩემი აზრით მას შემდეგ რაც ევრო 2012-ზე ვნახეთ "ოქროს ბურთი" ესპანეთის ნაკრების რომელიმე ფეხბურთელმა უნდა მოიგოს, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი აზრია, მე კი არჩევის პროცესზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოვახდენ", - აცხადებს ბლატერი.

ბოლო მატჩი, პირველი გამარჯვება

საქართველო (21) - ესტონეთი (21) 2:1

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დაასრულა. უკანასკნელ მატჩში ჩივაძის შეგირდებმა საკუთარ მოედანზე ესტონელ თანატოლებს უმასპინძლეს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი ქართველმა ახალგაზრდებმა ანგარიშით 2:1 მოიგეს.

სანამ თავად თამაშზე გადავიდოდეთ გეტყვით, რომ ჩივაძემ ნაკრები საგრძნობლად გადაახალისა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე 21 წლამდელთა გუნდში 1990 წელს დაბადებულებსაც კი შეუძლიათ თამაში, ჩივაძემ ნაკრები გაახალგაზრდავა და მის გუნდში 1995 წელს დაბადებული ოთარ კაკაბაძეც კი ვიხილეთ, რომელმაც წლეულს 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოიჩინა თავი.

მთლიანობაში კი ჩივაძის გუნდი ძირითადად 1992 და 1993 წელს დაბადებული ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, რაც იმის მაუწყებელია, რომ ბატონი საშა მომავალზე აკეთებს აქცენტს.

გეტყვით იმისაც, რომ 21 წლამდელთა ნაკრები ესტონეთთან საშინაო მატჩამდე ისე მივიდა, რომ გამარჯვებები მხოლოდ გასვლაზე მოიპოვა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურის წინ საქართველოს ნაკრებს სატურნირო თვალსაზრისით მხოლოდ მესამე ადგილის განაღდება თუ შეეძლო. პირველი და მეორე ადგილები ამ ჯგუფში ესპანეთისა და შვეიცარიის ნაკრებ გუნდებს აქვთ დაბეებული.

უკვე ავღნიშნეთ ამ შესარჩევ ციკლში ნაკრებს თბილისში არ მოუგიაო და ბოლო მატჩში ნავსი გატყდა. ქართველმა ახალგაზრდებმა ესტონელი თანატოლების დამარცხება შესძლეს და ჯგუფში მესამე ადგილიც დაიბევეს.

"მიხეილ მესხზე" გამართული მატჩი ქართველთა უპირატესობით მიმდინარეობდა, შეხვედრის 28 წუთზე ჩივაძის შეგირდებმა ანგარიშის გახსნა შეძლეს. საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ სწრაფი შეტევა განახორციელა, ძალამიძე მეტოქის საჯარიმოში კუთხიდან შეიჭრა პოლონური "იაგლონიას" ფეხბურთელს პასის გაკეთებაც შეეძლო, თუმცა თამაში საკუთარ თავზე აიღო მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და ანგარიში გახსნა. სამწუხაროდ, სტუმრებმა ექვს წუთში გაათანაბრეს ანგარიში. ამის შემდეგ თამაში კვლავ ქართველი ფეხბურთელების კარნახით მიმდინარეობდა, თუმცა გოლი არ ჩანდა, ჩივაძემ შეცვლები განახორციელა და ამან გაამართლა კიდეც, მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე, ესტონელთა კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა. შეცვლაზე შემოსულმა პარუნაშვილმა, რომელიც 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზეც გამოიჩინა თავი, დაახლოებით 35 მეტრიდან "გაისროლა" და ულამაზესი გოლით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ამრიგად, შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში ქართველებმა პირველი საშინაო გამარჯვების მოპოვება შესძლეს, რისი წყალობითაც ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს და უკან ხორვატიისა და ესტონეთის ნაკრებები ჩამოიტოვეს.

საქართველო - ესტონეთი 2:1

გოლები: 1:0 ძალამიძე (28), 1:1 ტაარი (35), 2:1 პარუნაშვილი (83)

საქართველო: ნადირაძე, ტვილდიანი, კვირკველია, კობახიძე, გრიგალაშვილი, ჩაფიძე, შეყილაძე (კირკიტაძე, 46), ძალამიძე (მუმლაძე, 82), სხირტლაძე, პაპავა (პარუნაშვილი 72), კვეკვესკირი

ესტონეთი: მეერიტსი, კალდოია (ვეისი, 46), კიიდრონი, მეტსი, ლივამიაგი, კალიუამე, ალიკუ (სუბოტინი, 69), ანტონოვი, ჰენრი ანიერი, ტაარი, ლიუგენდი (ჰანს ანიერი 76)